



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირეული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 40, 2023

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
ნავთობის და გაზის ფასები მკვეთრად დაეცა	2
მოლდოვა რუსულ გაზს აღარ შეიძენს	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
“ადგილობრივმა გენერაციამ გამომუშავების ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია”	3
ინვესტორები დაინტერესდნენ, ნამოხვანჭვის პროექტი აღდგება - ლევან დავითაშვილი	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში GIPA საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს	4
გახდი ჩემპიონი ენერგოეფექტურობაში! - ევროკავშირის მხარდაჭერით სპორტული ობიექტებისათვის ენერგოეფექტურობის კამპანია იწყება.....	5
კლიმატის ცვლილება.....	5
ანტარქტიდაზე მცენარეები ყვავის — ყინულოვან კონტინენტზე ყინულით დაუფარავი ტერიტორიები იზრდება	5
მსოფლიოს 10 უდიდესი ქალაქი, სადაც 80 წლის შემდეგ ადამიანები ვეღარ იცხოვრებენ 6 ღონისძიებები	8

ნავთობი და გაზი

ნავთობის და გაზის ფასები მკვეთრად დაეცა

საერთაშორისო ენერგეტიკულ ბირჟაზე ნავთობის ფასი ერთ კვირაში მკვეთრად, 10%-ით შემცირდა და ამჟამად ბარელი ბრენტის ფასი 84 დოლარს შეადგენს, ამერიკული WTI-ს ფასი კი 82 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

შედარებისთვის, ჯერ კიდევ წინა თვეს ბრენტის ფასი 97 დოლარს აჭარბებდა, თუმცა მას შემდეგ ბირჟაზე დაღმასვლის ტენდენცია ფიქსირდება.

ერთ კვირაში 7%-ითაა შემცირებული რუსული ნავთობის ფასიც და ბარელი Urals-ის ღირებულება საშუალოდ 78 დოლარის ფარგლებში მერყეობს.

დაღმასვლის ტენდენციას ვხედავთ ბუნებრივ აირთან მიმართებითაც, აშშ-ისა და ევროკავშირის მასშტაბით გაზის ფასი საშუალოდ 6.5%-ით შემცირდა და მეგავატი-საათი ენერჯის ღირებულება ამჟამად 37 ევროს შეადგენს.

ნავთობის გაიაფება პირდაპირ კავშირშია მსოფლიოს მასშტაბით საწვავზე მოთხოვნის შემცირებასთან და რეცესიული რისკების ზრდასთან. აშშ-ში ბენზინსა და დიზელზე მოთხოვნა 25-წლიან მინიმუმამდე დაეცა, შემცირების ტენდენციაა ჩინეთშიც, რაც ნავთობის ფასზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.

საწვავზე მოთხოვნის შემცირება, ძირითადად, ეკონომიკური აქტივობის შენელებას და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას უკავშირდება. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ-ში მდგრადად იზრდება ელექტრომობილების რაოდენობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში საწვავის მოხმარების შემცირებას უწყობს ხელს.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/Twmw2wzy>

მოლდოვა რუსულ გაზს აღარ შეიძენს

მოლდოვა გაზპრომისგან გაზს აღარ შეიძენს. რესპუბლიკა ამიერიდან ენერგორესურსებს ევროპის ბაზარზე შეისყიდის. ამის შესახებ მოლდოვის ენერგეტიკის მინისტრმა, ვიქტორ პარლიკოვმა განაცხადა.

„ჩვენ აღარ შევიძენთ ბუნებრივ გაზს „გაზპრომისგან“ კონსტიტუციური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისთვის“, - განაცხადა პარლიკოვმა ევროატლანტიკურ ფორუმზე გამოსვლისას.

პარლიკოვი ირწმუნება, რომ ევროპის ბაზარზე გაზის ყიდვა მოლდოვას უფრო იაფი უჯდებათ.

„უფრო მეტიც, ჩვენ შევძელით ამის გაკეთება [გაზის შეძენა ევროპულ ბაზარზე] უფრო დაბალ ფასად, ვიდრე ფორმულა, რომელიც გაზპრომთან კონტრაქტში იყო განსაზღვრული“.

შეგახსენებთ, რომ ადრე მოლდოვა ყიდულობდა რუსულ ბუნებრივ გაზს, მაგრამ 2021 წლის ბოლოს გაზპრომმა და მისმა მოლდოვურმა შვილობილმა კომპანიამ განაცხადეს, რომ მოლდოვას მათი ასობით მილიონი დოლარის ვალი აქვს და შემდგომი სტაბილური მიწოდების უზრუნველსაყოფად, ეს დავალიანება უნდა დაფაროს.

მოლდოვამ გაზპრომის ეს განცხადება გააპროტესტა. მოლდოვის ოფიციალურმა პირებმა, საერთაშორისო აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, განაცხადეს, რომ მოლდოვას გაზპრომს 8,6 მილიონი დოლარი ემართა გაზის მიწოდებისთვის, ეს კი რუსეთის ნავთობისა და გაზის კონცერნის მიერ გამოცხადებულ 709 მილიონ დოლარზე ბევრად ნაკლები.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/rwmw0MKA>

ელექტროენერგეტიკა

“ადგილობრივმა გენერაციამ გამომუშავების ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია”

გასული 9 თვის მონაცემებით, ადგილობრივმა გენერაციამ 11.1 მლრდ. კვტ/სთ-ს გადააჭარბა და საანგარიშო პერიოდში, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გამომუშავების ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.

ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა “მინისტრის საათის” ფარგლებში ისაუბრა.

მისივე ცნობით, რეკორდულია ელექტროენერჯის ექსპორტის მაჩვენებელიც, რამაც 1.5 მლრდ კვტ/სთ-ს მიაღწია, ხოლო ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით 38 მლნ ლარი შეადგინა.

2023 წლის იანვრიდან დღემდე, აშენდა 4 ჰიდროელექტროსადგური, ჯამური დადგმული სიმძლავრით 7.2 მგვტ. 2023 წლის ბოლომდე იგეგმება დამატებით 7 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება, ჯამური დადგმული სიმძლავრით 119 მგვტ.

დაინერგა განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის ახალი სქემა, რომლის ფარგლებში ჩატარდა 300 მგვტ. დადგმული სიმძლავრის პირველი აუქციონი. გამოვლინდა 27 გამარჯვებული კომპანია, რომლებიც 15 ჰიდროელექტროსადგურის, ქარის 2 ელექტროსადგურისა და მზის 10 ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს განახორციელებენ. შედეგად, შესაძლებელი იქნება ჯამურად 1,1407 მლრდ. კვტ სთ. ენერჯის გამომუშავება ყოველწლიურად. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა ჯამურად 400 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

წელს, 9 თვის განმავლობაში, გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 37 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 7800-ზე მეტი ოჯახისთვის. 2013-2021 წლებში ბუნებრივი გაზის მიღების შესაძლებლობა მიეცა 771 დასახლებულ პუნქტს. მიმდინარე წელს დასრულდება 2022 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები და ჯამში, 15 149 პოტენციურ აბონენტს ექნება ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. 2025 წლისთვის, ბუნებრივი გაზი ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 93 პროცენტისთვის.

2023 წელს, გასულ წელთან შედარებით, საქართველოში მოპოვებული ნავთობის მოცულობები 207%-ით, ხოლო გაზის - 111%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის ბოლოსთვის სავარაუდოა პროდუქციის სახელმწიფო წილის მატება 150%-ის ოდენობით.

წყარო: - <https://cutt.ly/0wmw0FSi>

ინვესტორები დაინტერესდნენ, ნამოხვანჰესის პროექტი აღდგება - ლევან დავითაშვილი

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, ნამოხვანჰესის პროექტი აღდგება.

„ნამახვანჰესთან დაკავშირებით ჩვენ ვმუშაობთ. მიმდინარეობს მიწების გადმოცემის საკითხი. არის ინვესტორების დაინტერესება, ასე რომ ნამოხვანი პროექტი აღდგება“, - განმარტა მან.

ეკონომიკის მინისტრმა ხუდონჰესთან დაკავშირებითაც ისაუბრა.

„ამ პროექტს ჩვენ განვახორციელებთ მაქსიმალური პასუხისმგებლობით და ბუნებაზე მინიმალური ზემოქმედებით, რომელიც არის სვანეთის რეგიონში. ენერგეტიკული კუთხით გვექნება უფრო მაღალი შედეგები. უფრო კარგი პროექტის განხორციელების იმედი გვაქვს. კვლევები მალე დასრულდება. ჩვენ გვყავს პოტენციური ინვესტორები, რომლებიც კვლევების შედეგებს ელოდებიან. ეს იქნება წამყვანი და მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის კომპანიები, უახლოეს ხანებში საზოგადოებას მეტი ინფორმაციას მივაწვდით.

კომპანია „შტუკი“ არის საერთაშორისო, შვეიცარიული კომპანია, გლობალური გამოცდილების. ისინი ახორციელებენ პროექტის შესწავლას. ჩვენ ველოდებით შედეგებს. ეს იქნება ახალი პროექტი, რომელიც ნაკლებ ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე და მეტი ელექტროენერჯის გამომუშავებას შეძლებს“, - განაცხადა დავითაშვილმა.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/qwmw0Yxv>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში GIPA საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს.

დარგში ინოვაციური უნარების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, USAID/Georgia-მ და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა (GIPA) დაიწყო თანამშრომლობა.

პროგრამის მხარდაჭერით, GIPA-ს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი განახორციელებს პროექტს „განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის მიმართულებით IV - V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სასერტიფიკატო ტრენინგ კურსების შემუშავება, განხორციელება და ინსტიტუციონალიზება GIPA-ში“.

პროექტი მიზნად ისახავს განავითაროს უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასერტიფიკატო ტრენინგ კურსები, რომლებიც კვალიფიკაციის

ამაღლების შესაძლებლობას გააჩენს განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროში.

წყარო: [energynews.ge](https://cutt.ly/Kwmw0veq) - <https://cutt.ly/Kwmw0veq>

გახდი ჩემპიონი ენერგოეფექტურობაში! - ევროკავშირის მხარდაჭერით სპორტული ობიექტებისათვის ენერგოეფექტურობის კამპანია იწყება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ევროკავშირისა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერითა და კომპანია GOPA Intec-თან თანამშრომლობით, "საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP)" ფარგლებში, სპორტული ობიექტებისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით აცხადებს რეგისტრაციას ენერგოეფექტურობის შესახებ კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

კამპანია 2023 წლის ოქტომბერში ჩატარდება და ის დაეხმარება სპორტულ ობიექტებს ენერჯის დაზოგვის ევროპული პრაქტიკის დანერგვასა და შენობებში ენერგოეფექტურობის წახალისებაში.

კამპანია ასევე ხელს შეუწყობს თანამშრომლების ინფორმირებულობასა და ქცევის ცვლილებას ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის შესახებ ტრენინგებისა და აუდიტის შეთავაზებითა და სხვადასხვა საგანმანათლებლო მასალების გაზიარებით, როგორებიცაა გზამკვლევები და პრაქტიკული რჩევები ენერჯის დაზოგვის შესახებ.

პრომოკამპანიაში მონაწილეობის მისაღებად სპორტულმა დარბაზებმა უნდა აჩვენონ სურვილი და მოტივაცია, დანერგონ ენერჯის დაზოგვის პრაქტიკები შენობებში, ენერჯის მოხმარების შესახებ ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებითა და რეკომენდაციების შემუშავების, ისევე როგორც ტრენინგში მონაწილეობისა და პროცესში თანამშრომლების ჩართვის გზებით. პრომოკამპანიაში მონაწილეობის მიღების კრიტერიუმები იქნება ექსპერტული რჩევების გათვალისწინება, შენობის აუდიტის ჩატარება და საინფორმაციო მასალების გამოფენა შენობებში. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა შეავსონ შემდეგი ონლაინ ფორმა: <https://forms.gle/HxqrdnWu8fhtBVE29>

წყარო: [energynews.ge](https://cutt.ly/Hwmw0fo5) - <https://cutt.ly/Hwmw0fo5>

კლიმატის ცვლილება

ანტარქტიდაზე მცენარეები ყვავის — ყინულოვან კონტინენტზე ყინულით დაუფარავი ტერიტორიები იზრდება

კლიმატის ცვლილება ანტარქტიდის გამწვანებას განაგრძობს.

ყოველი ახალი წელი ანტარქტიდას გამოუსწორებლად ცვლის. მეცნიერებმა ყინულოვანი კონტინენტის მოშიშველებულ მიწაზე ყვავილები იპოვეს, ისევე როგორც ხავსი და წყალმცენარეები. ამ კონტინენტზე მცენარეები წარმოუდგენელი ტემპით ვრცელდება, ამის პარალელურად კი ოკეანეში მცურავი ყინულის მოცულობა რეკორდულად დაბალ ნიშნულს აღწევს.

ეს დრამატული ცვლილებები ზაფხულის ტემპერატურის მატებასთანაა კავშირში. 2022 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტის (UW) მკვლევრებმა ანტარქტიდაზე ოდესმე არსებულთაგან ყველაზე დიდი თბური ტალღა დააფიქსირეს. 2022 წლის მარტში სამხრეთ პოლუსთან ახლოს ტემპერატურამ ნორმალურ ნიშნულს 39 გრადუსით გადააჭარბა და სამი დღის განმავლობაში აქ დაახლოებით -10°C ფიქსირდებოდა. ეს მაშინ, როცა წლის ამ პერიოდში ანტარქტიდის ამ ნაწილში საშუალო ტემპერატურა დაახლოებით -50°C -ია.

UW მკვლევრების მიერ გამოქვეყნებული კვლევის პირველი ავტორი, ედვარდ ბლანჩარდ-ვრიგლსვორთი The Washington Post-თან საუბარში აღნიშნავდა, რომ ეს ყველაზე ცხელი ტემპერატურული ანომალია იყო, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით დაფიქსირებულა. გუნდის რამდენიმე წევრი, რომელიც ამ პერიოდში ანტარქტიდაზე იმყოფებოდა, მსოფლიოს ყველაზე ცივ კონტინენტზე გადაადგილებას შორტებით ახერხებდა და მზეს მაისურგახდილი ეფიცებოდა. ეს სწორედ იმის დემონსტრირება იყო, თუ რამდენად დათბა ყინულოვან კონტინენტზე.

მსგავსი მომენტები ცხადყოფს, რომ ანტარქტიდა არ არის იმუნური კლიმატის კრიზისის მიმართ, როგორც ამას ადრე რამდენიმე მეცნიერი მიიჩნევდა.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად იყო დაკავშირებული ანტარქტიდაში ბოლოდროინდელი დათბობა კლიმატის ცვლილებასთან, UW-ის გუნდმა სპეციალური მიდგომა — 'storyline approach' გამოიყენა. მოდელირების ეს სტრატეგია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული მოვლენების რეპროდუცირებისთვის წარსულის მოვლენების განხილვასა და მომავლის შესაძლო სცენარის პროგნოზირებას ეყრდნობა.

"ჩვენ მივაგენით იმას, რომ კლიმატის ცვლილებამ ბოლო ერთ საუკუნეში თბური ტალღები 2°C -ით გაზარდა, ხოლო ეკვივალენტური თბური ტალღა 2096 წლისთვის შეიძლება 6°C -ით უფრო ცხელი იყოს 2022 წელთან შედარებით (ანუ 8°C -ით ცხელი 1922 წლის მაჩვენებელთან შედარებით)", — აღნიშნავენ ბლანჩარდ-ვრიგლსვორთი და კოლეგები...

წყარო: on.ge - <https://cutt.ly/fwmw115B>

მსოფლიოს 10 უდიდესი ქალაქი, სადაც 80 წლის შემდეგ ადამიანები ვეღარ იცხოვრებენ

კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოწვეულ საფრთხეებზე მეცნიერები ბევრს საუბრობენ. ძლიერი ქარი, კატასტროფული შედეგების მომტანი წყალდიდობები და გვალვები სულ უფრო საშიშ სახეს იღებს.

როგორც Business Insider წერს, კლიმატური ცვლილებების სამთავრობოთაშორისო პანელმა ივარაუდა, რომ 2040 წლისთვის ტემპერატურის მატებას მძიმე შედეგები მოყვება, საუკუნის დასასრულს კი პლანეტის რამდენიმე ნაწილში ცხოვრება შეუძლებელი იქნება.

მეცნიერებმა დაასახელეს 10 ქალაქი, სადაც 2100 წლისთვის ადამიანები ცხოვრებას, დიდი ალბათობით, ვეღარ შეძლებენ.

2100 წლისთვის მაიამიში 3.3 მლნ ადამიანზე მეტს ძლიერი წყალდიდობები ემუქრება, ამის შესახებ ნათქვამია კვლევაში, რომელიც 2016 წელს ჟურნალში Nature Climate Change გამოქვეყნდა. მეთიუ ჰოიერი აშშ-ს კონტინენტურ ნაწილზე ზღვის დონის მატების

საფრთხეებზე საუბრობს. საფრთხესთან გამკლავებას კი, ჰოიერის აზრით, მაიამი ვერ შეძლებს.

წყლით დაფარვის საფრთხე აქვს **ნიუ ორლეანსაც**. კვლევის მიხედვით, დატბორვა 100 ათასზე მეტ ადამიანს ემუქრება.

ჩიკაგოში ჰაერის მაღალი ტემპერატურა ფატალური შედეგების მომტანი აღმოჩნდება. ქალაქი აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ ადგილად არის მიჩნეული, 1995 წელს სიცხის გამო 700-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერი, რიჩარდ რუდი ამბობს, რომ ქალაქში ტემპერატურამ რეკორდულ მაჩვენებელს შესაძლოა, ნებისმიერ დროს მიაღწიოს.

2070 წლის შემდეგ **დუბაიში**, ზაფხულში ტემპერატურა 45 გრადუსი იქნება. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით, ძლიერი სიცხე სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის.

ამავე კვლევის მიხედვით, ყოველდღიური ტემპერატურა გაერთიანებული სამეიროების დედაქალაქში, **აბუ-დაბიშიც** გაუსაძლისი იქნება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რაც რეგიონში დაფიქსირებულა, 52 გრადუსია. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კვლევის მიხედვით კი 2070 წლის შემდეგ აბუ-დაბიში სიცხე კიდევ უფრო მოიმატებს.

შანხაიში, ჩინეთში 2070-2100 წლებში ტემპერატურა სიცოცხლისთვის საშიში იქნება. ჟურნალში Nature Communications გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, საუკუნის მიწურულს აქ სიცხის ძლიერ ტალღებს ელოდებიან. შანხაიში, დაახლოებით, 25 მლნ ადამიანი ცხოვრობს და მაღალ ტემპერატურას ფატალური შედეგები მოჰყვება.

პეკინში ძლიერი სმოგის გამო ცხოვრება შეუძლებელი იქნება. ჩინეთის დედაქალაქში სმოგი იმდენად ძლიერია, რომ მოსახლეობა ქუჩებში ნიღბებით გადაადგილდება.

გამონაბოლქვი სიგარეტის ბოლზე მეტად მავნებელია და 15-ჯერ მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე ომები და ძალადობა.

ინდოეთში, **ნიუ დელიში** მოსახლეობას ღებინება და თავის ტკივილი შეაწუხებს, რაც ძლიერი სიცხისა და სმოგის ბრალი იქნება. აქ ტემპერატურა ისეთივე მაღალი იქნება, როგორც პეკინსა და შანხაიში. სმოგით გაჯერებული ჰაერი გამოიწვევს კანზე გამონაყარს, გულისრევას, თავის ტკივილს, ბევრი ადამიანი კი გონებას დაკარგავს.

დაკაში, ბანგლადეშის დედაქალაქში ზღვის დონე კატასტროფულად გაიზრდება. კლიმატური ცვლილებების გამო ბანგლადეშს დიდი ზიანი ადგება. აქ ტემპერატურის მატებას და წყალდიდობებს გამანადგურებელი შედეგები უკვე მოაქვს. 2017 წლის ზაფხულში წყალდიდობამ ქვეყანაში 8 მლნ-ზე მეტი ადამიანი დააზარალა, გარდაიცვალა დაახლოებით 140 ადამიანი.

კლიმატური ცვლილებების გამო დაზარალებული სოფლების მოსახლეობა საცხოვრებლად დაკაში გადადის.

დატბორვის მასშტაბები სულ უფრო გაიზრდება **ლაგოსშიც**, ნიგერიაში. ქვეყნის ყველაზე დიდ ქალაქში მოსახლეობა მუდმივად მატულობს, მომდევნო 10 წლის განმავლობაში კი, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ წყალდიდობა 260,000-მდე ადამიანს იმსხვერპლებს.

წყარო: allnews.ge - <https://cutt.ly/kwmw1GVQ>

ღონისძიებები

[მე-16 საერთაშორისო კონფერენცია "ენერჯეტიკა და კლიმატის ცვლილება"](#)

[მწვანე ენერჯის ინვესტირების მე-10 ფორუმი](#)

თარიღი: 11-13 ოქტომბერი, 2023

ადგილი: ათენი, საბერძნეთი

[BiomassPowerON 2023 - მე-5 ევროპული კონფერენცია ბიომასის ენერჯის შესახებ](#)

თარიღი: 11-12 ოქტომბერი, 2023

ადგილი: სტოკჰოლმი, შვედეთი,

სასტუმრო HiltonSlussenStockholm

[მე-5 საერთაშორისო კონფერენცია - განახლებადი ენერჯია, რესურსები და მდგრადი](#)

[ტექნოლოგიები](#)

თარიღი: 13-14 ნოემბერი, 2023

ადგილი: სასტუმრო მილენიუმი, პარიზი, საფრანგეთი

[დიპლომატიური ღონისძიება ხის და სხვა ბიო-სამშენებლო მასალებით რესურს-ეფექტური](#)

[მშენებლობის შესახებ](#)

თარიღი: 13-15 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი - [ConnectiveCities](#)

ადგილი: პოტსდამი, გერმანია

[კონფერენცია-წილთვანი ნახშირბადის მრეწველობა 2023](#)

თარიღი: 15-16 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: ევროსაბჭო ენერჯოეფექტური ეკონომიკისთვის (ECEEE)

ადგილი: ჯერ არ არის განსაზღვრული

[Behave 2023 - მე-7 ევროპული კონფერენცია ქცევისა და ენერჯოეფექტურობის შესახებ](#)

თარიღი: 28-29 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: EuropeanEnergyNetwork (EnR)

ადგილი: მასტრიხტი, ნიდერლანდები